ფასი ყველგან 10 კაპ.

ეკალი

„ეკალი“ იუმორისტული წერილების კრებულია. რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგი ადრესით: Контора о-ва „Ахалшени“ на дворцовой ул. № 126.

№ 4

კასიანე და მათე გაჩეჩილაძეები, ნ. ცქიტიშვილი, ამბაკო ჰამკოტაძე, ბ-ნი გედევანი და პატივცემული შროშის მამასახლისი და სხვანი მათნი თანამოაზრენი აუწყებენ ქვეყანას, რომ სულიერი მამა

ეფრემ გაჩეჩილაძე

აღარ ჩაითვლება ცოცხალთა შორის.

გამოთხოვება.

ჩემი სცენაზე გამოსვლის,
ღმერთმანი, დრო აღარ არი;
ზეთი რომ გამელევა,
რაღას ანათებს ლამპარი!

სიყმაწვილეა ლამპარი
და ზეთი სიყვარულია;
მე კი ორიცე დაკარგე
და მით სიცოცხლე კრულია.

ეხლა სცენაზე გამოსვლა
აღარ შემფერის, აღარა,
და გეთხოვებათ ამიერ
ჩემი საბრალო ჯაღარა!

ბაკა.

შენ მსხვერპლი გახდი ავტონომიის
უდროოთ მოსწყდი თავს ღირსეულსა,
ამაყათ იტყვის შთამომავლობა
„ის შეეწირა თავის მამულსა“.

ბოკაჩიოს ნოველა.

ქალის მოხერხება.

ჩვენს კურთხეულ ქალაქში ცხოვრებდა ერთი ახალგაზდა, მშვენიერი ქალ-ბატონი, ცოლი ყველასგან პატივცემული რაინდისა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანს ერთი და იგივე შაჰამადი მოსწყინდება, და უნდა, რომ სხვა შეუნაცვლოს. ქალ-ბატონიც არ კმაყოფილდებოდა თვისის ქმრით და შეიყვარა ვიღაც ყმაწვილი კაცი, ლეონეტო. ის არ იყო დიდი გვარის კაცი, მაგრამ ერთობ ზრდილობიანი და ლამაზი კი იყო. ყმაწვილიც თანაგრძნობით შეეგება ქალბატონის სიყვარულს და ძლიერ ჩქარა დაუახლოვდენ ერთმანეთს.

ამავე დროს ქალბატონის მშვენიერებამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ერთ რაინდზე, ლამბერტუჩიოზე, რომ საშინლად შეიყვარა ქალი; მაგრამ ეს რაინდი ისეთი კაცი იყო, რომ ქალს არას გზით არ შაეძლო მისი სიყვარულის თანაგრძნობით შეგებება. რაინდი კი არ ეშვებოდა და ყოველ გვარ ბედნიერებას პირდებოდა. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ეს საშვალება არ შველის—დაემუქრა, რომ შურაცყოფას მიაყენებდა, თუ არ დანებდებოდა. ქალმა იცოდა, თუ რა კაცი ჭ რა გავლენიანია ეს რაინდი, შეუშინდა მის რისხვას და დანებდა.

ზაფხულში, როგორც ჩვეულებადაა შემოღებული, ქალბატონი იზაბელა თავის აგარაკში ცხოვრობდა. ერთხელ მისი ქმარი სხვაგან წავიდა რამდენიმე დღის ვადით. იზაბელამ ისარგებლა ამით და მიიწვია თვისი საყვარელი ლეონატო. ლეონატოც გახარებული მოფრინდა. ვაუბატონ ლამბერტუჩიოსაც გაეგო იზაბელას ქმარის შინ არ ყოფნა და დაუყონებლივ გამოჰქანდა თვისი ბედაურით. ალაყაფის კარებთან თვალი მოჰკრა მას მოსამსახურე ქალმა, მიირბინა ქალბატონის ოთახის კარებთან და დაუძახა: ქალბატონო, ბატონი ლამბერტუჩიო მობრძანდაო. ამის გაგონებაზე ქალბატონს ელდა ეცა, მაგრამ, ვინაიდან რაინდის ეშინოდა, შაეხვეწა ლეონატოს, ლოგინის ფარდულს ამოფარებოდა და იმდრამდე მჯდარიყო იქ, სანამ ლამბერტუჩიო არ წაეთრეოდა. ლეონატოს არა ნაკლებ შეეშინდა საჩქაროდ მიიმალა. ქალბატონმა კი უბრძანა მოსამსახურე ქალს, რომ რაინდისთვის ალაყაფის კარები გაეღო. ლამბერტუჩიო შემობრძანდა ეზოში, დაბა თვისი ბედაური და თითონ სახლში შავიდა. ქალბატონი მას კიბეზე მიეგება და მიესალმა. რაინდიც მოეხვა ყელზე, დაუწყო დლოშნა და თანაც ეუბნებოდა:

—სულო ჩემო, მე გავიგე, რომ თქვენი ქმარი სხვაგან გაემგზავრა, მეც დაუყონებლივ გამოვეშურე თქვენსკენ, რომ ცოტა ხნით მაინც გამეტარებია დრო თქვენთან.

ამის შემდეგ ისინი შებრძანდენ ქალბატონის ოთახში და რაინდმა დაუწყო ალერსი თვის სატრფოს.

ამ დროს გამოჩნდა მოულოდნელათ მობრუნებული სახლის პატრონი, იზაბელას ქმარი. მოჰკრა თუ არა თვალი მოსამსახურე ქალმა მომავალ ბატონს, მიირბინა ქალბატონის ოთახთან და შესძახა:

—ქალბატონო, ბატონი მობრძანდება! მე მგონი, რომ კიდეც შემოდის ეზოში.

მოჰკრა თუ არა ამ ამბავს ყური, ქალბატონს გაახსენდა, რომ იქ ორი მოტრფიალე ჰყავდა, რომელთაგან რაინდის დამალვა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც მისი ცხენი ეზოში ება. ქალბატონს დაღუპვა ელოდა. მან მყისვე მოისაზრა რაღაც ხერხი, წამოვარდა ლოგინიდან და უთხრა ლამბერტუჩიოს:

—ბატონო ჩემო! თუ რომ ცოტათი მაინც გიყვარვართ და არ გსურთ ჩემი დაღუპვა, ისე მოიქეცით როგორც მე გითხრათ. წამოაველეთ ხელი შიშველ დანას, დაეშვით კიბეზე განრისხებული სახით და ყვირილით: „ვფიცავ ღმერთს, რომ ჩემს შურს ვერსა დაემალები, სადაც უნდა იყო.“ თუ ჩემი ქმარი გამოგელაპარაკოსთ, გაიმეორეთ ისევ ის, რაც მე გასწავლეთ, შეჯექით ცხენზე და საჩქაროზე გაექანეთ შინისაკენ.

რაინდი დასთანხმდა. წამოაველო შიშველ დანას და რისხვით, სახე ანთებულმა აღასრულა ყოველისფერი, რაც კი სატრფომ დაავალა.

იზაბელას ქმარი ჩამოხტა ცხენიდან. გაუკვირდა, რომ დაბმული ბედაური ნახა და, როცა ის-ის იყო აპირებდა კიბეზე ავლას, შეეჩეხა ლამბერტუჩიოს, გაოცა მისმა ყვირილმა და ჰკითხა:

— რა შეგემთხვა, ბატონო ჩემო?

ლამბერტუჩიომ ყურადღებაც არ მიაქცია, მოეველო ბედაურს, გააქანა და ერთხელ კიდე იკივლა:

—გეფიცები ღმერთს, რომ მე შენ კიდევ განახავ სხვა ადგილას!

განცვიფრებულ სახლის პატრონს შეხვდა წინ ცოლი შიშისაგან თითქო ცოცხალ-მკვდარი: და შეეკითხა ქმარი:

—რას ნიშნავს ესო? ვის ემუქრება ბატონი ლამბერტუჩიო და რად არის ასე გაცოფებული?

ცოლი შევიდა ოთახში, რომ ლეონატის მოეკრა ყური მისი სიტყვებისთვის და უთხრა ქმარს:

—ბატონო ჩემო! არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასე არ შემშინებია. ჩვენს სახლში შემოვარდა ვიღაც ყმაწვილი კაცი, რომელსაც მოსდევდა ლამბერტუჩიო. ჩემი ოთახი რომ ღია დახვდა, საბრალო მთელი სხეულის ცახცახით შემეევედრა: ქალბატონო ღვთის გულისათვის, მიხსენით, თუ არ გნებავთ, თქვენ თვალწინ მომკლანო. მე წამოვხტენი ზეზე და მინდოდა მეკითხნა, თუ საქმე რაში იყო, რომ უეცრათ გამოჩნდა ბატონი ლამბერტუჩიოც. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიძახოდა: „სადა ხარ, შე გამცემოო!“ მე არ მივეცი ნება მას, ფეხი შემოედგა ჩემს ოთახში. ისიც ისეთი ზრდილობიანი გამოდგა, რომ ვეღარ გაბედა, ვინაიდან მიხვდა, თუ რა ეუსიამოვნებას შეადგენდა ჩემთვის მისი ჩემს ოთახში შემობრძანება. მცირე ბობოქრობის შემდეგ ის მოხდა, რაც შენ შენის თვალით ნახე და ყურით გაიგონე.

ქმარმა უთხრა:

—შენ ერთობ ჰკვიანად მოქცეულხარ ჩემო სულიკოვო! ჩვენი ოჯახისთვის გადაურეცხელი ჩირქი იქნებოდა, აქ რომ უდანაშაულო ვინმე მოკლულიყო. ბატონმა ბერტუჩიომ ჯერ იმითაც მოგვაყენა ჩვენ შეურაცხ-ყოფა, რომ აქ შემოჰყვა საცოდავ კაცს.

—სადღაა ის ყმაწვილი კაცი?

ცოლმა მიუგო:

—არ ვიცი, ბატონო. სადღაც მიიმალაო.

რაინდმა შესძახა:

—ეი, სადა ხარ გამოდი, ნუ გეშინია ლეონატოს ესმოდა ეს საუბარი და შიშისაგან აცახცახებულ გამოძვრა ლოგინი ფარდულის უკანიდან.

რაინდმა ჰკითხა:

—რა შაგემთხვა ასეთი ლამბერტუჩიოსთან?

—ბატონო, არაფერი ასეთი არ მომ

ხდარა ჩვენ შორის... მე მგონია, რომ ის ან შერეკილია, ან ვინმე სხვას მიმამსგავსა. მე მივდიოდი ამ დარბაზის მახლობლად, დამინახა და დამედევნა, თანაც მომძახლა:

—მოკვდი, შე გამცემოვო! მე შეკითხვაც ველარ მომეხერხებინა, გამოვფრინდი და ხსნას ველირსე ჯერ ღვთის წყალობით და მერე ამ ქალბატონის მეოხებით.

მაშინ სთქვა რაინდმა:

—აწი ნუღარაფრის ფიქრი გექნება. მე თითვან წაგიყვან შინ. მერე კი მამიკითხე, თუ რისთვის დაგდევდა შენ ის რაინდი.

ვახშმის შემდეგ რაინდმა შესვა ყმაწვილი კაცი თავის საკუთარ ცხენზე, გაალილა ფლორენციამდი და იმ სახლამდი სადაც ყმაწვილი კაცი სცხოვრობდა. ყმაწვილმა კაცმა თანახმად სატრფოს დარიგებისა იმ საღამოსვე ინახულა ლამბერტუჩიო და ისე მოილაპარაკეს ერთმანეთ შორის, რომ ქმარს სიზმრადაც აღარ მოელანდებოდა ის ხერხი, რომლითაც გააცურა ყინულზე იგი ცოლმა.

კრიჭა.

ჯოჯოხეთისკენ....

სძინავს ქალაქს!.. ცის სივრცეში
გამოსცურდა ბელზებელი!
მას ძვირფასი არსებისთვის
ჩაუვლია მაგრათ ხელი.
გულს ჩაუკრავს, როგორც მშობელს
საყვარელი პირმშო შვილი,
და მიაპობს ცის კამარას
მხიარული, ფრთა გაშლილი.
მიჰქრის ლაღათ, უდარდელი.
გზა უჭირავს ჯოჯოხეთად,
მიჰყავს სული საყვარელი
მევოჩრებთან შესაერთად.
თან უგალობს გრძნობით სავსე
სამტარვალო გლოვის ნანას,
ვინც ჯოჯოხეთს ამყარებდა
ხალხისათვის ამ ქვეყანას!
„ჩემო სულის ხულიგანო,
შე პაწაწინაო,
შავი დღის დროს ევრე ტკბილათ
რამ დაგაძინაო·
მუდამ გქონდა სასახლეში
კეთილი ბინაო,
ბნელ ძალებს შენ განაგებდი
უძლოდი წინაო,
ახლა რაღა დაგემართა,
რამ შეგაშინაო
ჩამეკონე გენაცვალე,
იავ ნანინაო...
სიყრმიდგანვე სიტყვით, საქმით
სინათლეს მტრობდიო,
ბოროტებით შენს ბუნებას
ვერ გაიძღობდიო.
ხალხის კეთილ მისწრაფებას
შენ გაუმკლავდიო,
ჯოჯოხეთის სადღეგრძელოთ
შეილსაც დაკლავდიო.
ჩამეკონე, გენაცვალე,
ხელს ნუ შემიშობო,
აი, აგერ ჯოჯოხეთიც...
აწ რაღას შიშობო?
იქ დაგხვდება სისხლის გუბე
და გაიხარეო.
ვგონებ აღარც მოვენატრო
სამშობლო მხარეო.
ჩემო კუპრო, ეკლის კონავ,
ცოდვის კალათაო!
შენ ხომ შენით განისვენე?
სხვებმა ძალათაო.
ყველა სტირის, ვინც იქ დარჩა
და გიღალატაო....
შენ, როგორ იცრემლება
„ვარსკლ ვთ პალატაო.“
შენ ნუ ნაღვლობ, გენაცვალე,
ცოდვის მაშვალოო,
იქ დაგხვდება უწიდელი
მთელი ამალაო,—
ერი, ბერი, ბევრის ბევრი
სამხედრო ძალაო,
ვისაც მტერმა აქ ცხოვრება
არ დააცალაო!
მაშ მომხვიე ყელზე ხელი
და გამიღიმეო,
ეგრე ფინთათ რამ მოგშალა
შენი ქირიმეო.
იქ ხელ-ახლა გაცოცხლდები,
მკვდრეთით აღსდგებიო,
უთვალავი გეყოლება
შენ ძმა კაცებიო.
პლევეს, ტრეპოვს და ბობრიკოვს
იქ უძევთ ბინაო,
ჩამეკონე გენაცვალე...
იავ ნანინაო.“
ბნელ სივრცეში გლოვის ნანა
გაისმოდა როგორც ზარი
და ბელზებელს, გამფრინველს
თან მიჰქონდა საზიზღარი.

ეშმაკი.

ახალი ამბები.

დიდი არაფერია...

1) მოკლეს ერთი მაზრის უფროსი [1]).
2) დახურეს ერთი გაზეთი [2]).
3) დაბეჭდეს ერთი სტამბა [3]).
4) გაისროლეს ერთი ბომბა [4]).

---

[1]) ეს გახლდათ ჯანღონით აღსავსე ნიჭიერი ადმინისტრატორი (და მომავალი შეიძლება გუბერნატორიც) ბუგუშვილი.

[2]) დახურეს გაზეთი „წინ“. ალბათ იმიტომ, რომ წინ წაწევას შეეცადა.

[3]) დაბეჭდეს ხერატუროვის სტამბის განყოფილება ნება დართული გაზეთის დაბეჭდვისათვის. ახია, რატომ ნება დაურთველს არ ბეჭდავდა?!

[4]) (ჩუმათ წაიკითხეთ, არავინ გაიგონოს) ბომბა „ხულიგანებმა“ ისროლეს ნაძალადევშიო. საკვირველია ხალხის საქმე! განა ხულიგანები ამას იკადრებენ?

ჩვილ ყრმათა მომაკვდინებელი თავშესაფარი ექიმი ქანანოვისა

უკვე თეორეტიულათ გამოკვლეულია და პრაქტიკულათ დამტკიცებული, რომ მიცვალებულთა გამოყენება შეიძლება, როგორც პოლიტიკურის აგრეთვე ეკონომიური მიზნის მისაღწევათ. პოლიტიკური მიზნით ეს საშვალება უკვე ხელოვნურათ გამოიყენა კიშინიოვის „პოგრომშჩიკმა“ **პავოლაკი კრუშევანმა,** რომელიც სამართლიანათ ითვლება მიცვალებულთა და მომაკვდავთა წარმომადგენელათ სახელმწიფო დუმაში. მისმა „პოგრომებში“ ნაწრთობმა მარჯვენამ ჯერ მუსრი გაავლო კიშინიოვის მცხოვრებლებს და შემდეგ კი მიცვალებულთა სახელით დუმაში წამოსკუპდა. განხორციელდა ანდაზა: „ერთი სროლით ორი კურდღლის მოკვლა.“ ასე და ამგვარათ... **პოლიტიკა და მიცვალებულნი!** ეს დააკავშირა პავოლაკი კრუშევანმა.

მიცვალებულნი და ეკონომია — აი რის დაკავშირება იკისრა და განახორციელა ექიმმა ქანანოვმა.

საქმე ასე ყოფილა: ოლგის საბებიო ინსტიტუტთან არსებობს მიგდებულ ბავშვთა გამწყვეტი განყოფილება. უფროსი ექიმი **ქანანოვია.** ქანანოვი ძლიერ შუბლ მაგარი და გამოცდილი ექიმი ყოფილა. ერთხელ თურმე აღმზრდელმა ქალებმა ე. ი. ძიძებმა ექიმზე უკმაყოფილება განაცხადეს. მიზეზი ხომ მოგეხსენებათ ბევრნაირი შეიძლება!! საჩივარი იმით დაგვირგვინდა, რომ მომჩივარ ქალებს თითო კვირის ციხე მიუსაჯეს. ქანანოვის ვექილი ეჭვს გარეშეა იმით ხელმძღვანელობდა, რომ ექიმი ძიძებს “მეცნიერულის მიზნით“ ავიწროებდა და მეცნიერება ხომ მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ვისაც გაუგონია „გაკრეჭისა“ და „გაპარსვის“ ანეკდოტი, იმისთვის ცხადი იქნება თუ როგორია ქალების სიჯიუტე და სიკერპე. ერთ „დამნაშავე“ და დასჯილ ქალს კიდევ დაუწერია გაზ. „ისარში, ვითომ ქანანოვი კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობდა და მეცნიერება სახეში სრულიადაც არა ჰქონიაო. უწინარეს ყოვლისა დავამშვიდებ ქ-ნ ქეთევან თუხარელისას, რადგან ის ცოტა არ იყოს გაუჯავრებია სასამართლოს გადაწყვეტილებას. მას უკვირს თუ როგორ შეიძლება ასე უსამართლოთ დაისაჯოს ადამიანი. ჩვენ პირიქით, ის გაგვიკვირდებოდა, რომ მსჯავრი სხვაგვარი ყოფილიყო; „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.“

ზემო აღნიშნული ქ-ნის სიტყვით- ბ-ნ ექიმ ქანანოვს შემდეგი მოღვაწეობა მიუძღვის ყრმათა წინაშე:

— 1 **ექიმი ქანანოვი ძიძების მაგიერ** (ალბათ ბუხგალტერიის გასაადვილებლათ) **თითონ აწერდა ხელს და სხვა მოსამსახურეებს იმოწმებდა, ძიძებმა თითონ მიიღეს ფულიო.**

2—**ხელს აწერდა იმათ მაგივრათაც, რომლებმაც ქართულ სომხური წერა იცოდენ.** ყველა აღნიშნული ცნობები საქმის წიგნებიდან ამოუღიათ. ქანანოვს შეუტყვია ეს, გაჯავრებულა და წიგნები დაუტუსაღებია.

3—**დატუსაღების შემდეგ ქანანოვს შკაფიდან გაპარვია ყველა ის საბუთები, რომლითაც მტკიცდება მისი მოქმნდება.**

4-**საბუთები ქანანოვის მზრუნველობისა ციფრებით ასეთია: ექვსი წლის** (1900—906) **განმავლობაში თავშესაფარში მიუღიათ სულ 815 ბავშვი, აქედან მომკვდარა 501 ბავშვი.** ესე იგი, რვაას თხუთმეტი ბავშვიდან ექიმის მზრუნველობას გადარჩა (თუ გადაურჩა) მხოლოდ და მხოლოდ სამას თოთხმეტი ბავშვი. რასაკვირველია ქანანოვის გულშემატკივრობას და მზრუნველობას შესაფერი ნაყოფიც გამოუღია.

მაშ ეგრე: „ბუზივით იხოცებოდენ
ყრმანი სუსტნი და ჩვილია,
ყოველი მხრიდან ობლები
უცნობი ხალხის შვილნია.

5—**მიუხედავათ ამისა ქანანოვს მაინც გამოჰქონდა ხაზინიდან ფულები მიცვალებულთათვისაც** (ე. ი. მიცვალებულ-



რამდენნ ხანი შეგინახე შენ დაკეტილი,
მაგრამ არ მომცე'ს მოსვენება, არ მომცეს ძილი
უიდა გავაღო... სხვა გზა არ არი.

თა სახელზედაც). **ასეთი მაგალითი ყოფილა თექვსმეტი.**

6—**1904 წლის განმავლობაში უწესოდ დაუხარჯავს ჩვენს ექიმს მხოლოდ 1350 მ. 92 კაპეიკი.** (მთავრობის რევიზია).

7—**ხშირათ ექიმ ქანანოვს ერთისა და იმავე ძიძისათვის ორჯერ გამოუწერია ჯამაგირი. ასეთი მაგალითი სულ 19-ია.**

ეს შეიძლება, რასაკვირველია, ნაცნობობით იყოს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არ არის.

8—**1905 წლის განმავლობაში უწესრიგო ხარჯი მხოლოდ 1722 მან. და 61 კაპ. უდრის.**

ეს არის და ეს. თფილისელიც რომ არ იყო კაცი, მაინც დოინჯს შემოიდგამ და იტყვი: „ვა, ვა, ე რა ყოჩაღი ექიმი რამა ყოფილაო.“ ჩვენი ექიმისათვის მგონი იროდსაც ბევრით არ წაუცლლებია ყრმათა მუსვრაში, თორემ კრუშევანი ხომ მოგონებულიც არ არის.

ქ-ნ თუხარელისას ალბათ უკვირს რომ სამართალი არ სჯის ასეთ დამნაშავეს, „ვექილი“ იცავს მას და (საზოგადოება) კაცათ თვლის მას, მაგრამ ნება მისია გაუკვირდეს.

ხოლერა.

გრინგმუნტის ოცნება.

დამნაშავე რედაქტორი.

სცენა რედაქციაში.

რედაქტორი. ბ-ნო, ჩვენ თუ დაგვიჯერებთ, ეს არის მოგახსენეთ და კიდევ გაგიმეორებთ, რომ ჩვენს გაზეთს მაგ ამბის გამოქვეყნება არ შეუძლია.

ავტორი. მიკვირს ღმერთმანი, ბ-ნო, ყოველივე პასუხის მგებლობას მე ვიღებ თავის თავზე. თქვენ ალბათ გეუცხოვათ: მღვდელი ამას როგორ იკადრებდაო!

რედაქტორი. არა, მეგობარო, მღვდლისაგან ასეთი მოქმედება არ გაგვიკვირდება, მაგრამ მაინც რაღაცა ახირებული ამბავია, ათას ხათაბალას გამოიწვევს და ამიტომ არ დაიბეჭდება.

ავტორი. მოგაგონებთ, რომ სიმართლის მოყვარული რედაქცია არ უნდა შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას, და არც იქნება აქ არავითარი დაბრკოლება. ანჩის ხატის მღვდელმა რომ სცემა მედავითნის ცოლს, ეს გამოძიებული საქმეა. საქმე ის არის, ამ ცემის მიზეზი დავანახოთ საზოგადოებას.

რედაქტორი. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დავსწეროთ არც ის, რომ პოლე კარბელოვმა სცემა პავლე გოგიაშვილის, თუ რა გვარია ის მედავითნე, იმის ცოლს... არ შეგვიძლია არც მისი დანოსი მოვიხსენიოთ, არც ჩხუბის მიზეზი. ერთი სიტყვით გადაწყვეტილ უარს გეუბნებით და მონახეთ სხვა რედაქცია.

ავტორი. უარის თქმა ადვილი საქმეა, ბ-ნო ჩემო. თქვენ იმის საშვალება მოგვეცით, რომ უდანაშაულო კაცი არ დაიკარგოს. მე თქვენ გითხრათ, პოლიციამ გამოძიება არ მოახდინოს ღ მართალ-მტყუანი არ გამონახოს. მას პირდაპირ ასე მიუწერია: პავლია გოგიაშვილი ანარხისტია, შანტაჟისტია, მოკვლას მიპირებსო და სხვა. მერე ვისთვის მიურთმევია, იცით?!!!

რედაქტორ. ვიცით, ბ-ნო, ვიცით, ვისაც აძლევენ მაგისთანა ქაღალდებს, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ მაგ წერილს ვერაფრის გულისთვის ვერ დავბეჭდავთ. შეიძლება თქვენ ისიც კი იფიქროთ, რომ მე პოლე კარბელაშვილს მხარს უჭერ და ამისთვის გეუბნები უარს, მაგრამ რა გაეწყობა.

ავტორი· რა ვქნა, თუ მართლა ქვეყანა დაიქცევა ამ ერთი წერილის გულისათვის, ჯანი გავარდეს. მაგრამ არ ვფიქრობ ამით რამე დაშავდებოდეს. მით უმეტეს, საქმე გამოძიებულია და დიდუბის დეკანოზ თალაკაძეს რომ მეტი გაბედულობა ჰქონოდა ამდენ ხანს ყველაფერს გამოააშკარავებდა. ექვსი წელიწადია თურმე ეუბნებოდა საწყალ ქალს: „დამნებდიო“ და ჯიუტობისთვის ბოლოს კიდევაც მიბეგვა. სიმართლე მაინც არ დაიმალება, ჩემო კეთილო, და სხვაგან იშოვის ადგილს, მაგრამ უკანასკნელათ გთხოვთ დაბეჭდოთ.

რედაქტორი. რა ვქნა, არ ვიცი როგორ მივახვედრით. მესმის რომ ყველა ეს საზიზღარი საქმეა, ამის გამოაშკარავება ღირს, მაგრამ ჩვენ გაზეთს არა აქვს მაგის ადგილი და მაგის დევნის თავი. გარწმუნებთ, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია. რომ შეიძლებოდეს დიდის სიამოვნებით...

ავტორი. სირცხვილი თქვენი! კაცს ოჯახს უნგრევენ; ცოლი გაულახეს, თითონ სამსახურიდან დაითხოვეს და შეიძლება სადმე შორეულ ქვეყანაში გადაასახლონ; საწყალს ოჯახი შიმშილით ეხოცება და ყველა ამის მიზეზი პოლე კარბელოვი კი სრულს განცხრომაშია და თქვენ, ისიც ვერ გაგიბედავთ ეს ამბავი გამოაქვეყნოთ. თქვენ მოსყიდული ხართ და მეტი არაფერი; მშვიდობით.

ავტორმა კარები მაგრათ გაიბრახუნა და გავიდა.

რას იზამ! რედაქტორობა ძლიერ ძნელ

საქმეა, ჩემო მკითხველო. სადღაც ჩუმათ, ეკლესიის გალავანში, მღვდელმა რომანი გააბა. ბოლოს რომანი რომ აღარ მოეწონა, ტრაგედიათ გადააკეთა და რაკი ესეც არ იამა დრამა, გამოიწყო. რა რედაქტორის საქმეა, ეს ამბავი გაზეთში ჩაავდოს? მაგრამ საუბედუროთ ყველა ავტორი როდი მიხვდება ამას.

ბლაღოჩინი.

დუმა და ხალხი

დეპუტატ სტრელკოვს. სად. ხაშურიდან. გთხოვთ მედგრათ იბრძოლოთ „კუროდლების" გადაყვან-გადმოყვანის დასაკანონებლათ. რამდენი ხანია ერთი „ბრუციანი" არ გაგვიკეთებია. ძირს კონტროლები!

კონდუქტორების ჯგუფი.

იქიდანვე და იმავე დეპუტატს. მოწყალეო ხელმწიფევ! გთხოვთ დაჰგმოთ დუმის ტრიბუნიდან გაზეთი „მასხარას" საქციელი. რაღა მართო მე გამომარჩიეს ამდენ კასირებში? ყველა სადგურზე შემოღებულია: კასირმა ცოტა შემოიგვიანოს და შემდეგ, სიჩქარის დროს ხურდა აღარ დააბრუნონ ხოლმე. ეს რომ ასე არ იყოს ჩვენი სისაწყლე ქვეყანაზე აღარავინ იქნებოდა და ახლა ამასაც გვისაყვედურებენ.

შეურაცხყოფილი კასირი **ჩარჩიშვილი.**

პროვინციის ამბები.

—

ოზურგეთი. საქმე კარგათ მიდის. დღეში 40 კაცს მაინც ვიჭერთ. ვინც დასაჭერია, იმაზე ცემაც ახია. არც ჩვენ ვაკლებთ ხელს. თავისუფლება აი ასეთი უნდა. ბაზარში ქალი ისე ვერ გაივლის რომ სტრაჟნიკები არ ეამბორონ. ამ წინაზე ერთი ჩვენი კაციც კი დავიჭირეთ. სიმართლე მოგახსენოთ სხვა ვინმე ახლა აღარც კი არის ოზურგეთში.

თქვენი **დემეტრე.**

რაჭა. ძმათა ჯაფარიძეებმა და სხვ. (სტრაჟნიკები არიან) ადგილობრივ ადმინისტრაციას მოხსენება წარუდგინეს; ონის ციხეს სულ ახლო მომავალში გავავსებთ და საჭიროა ახალი შენობა, რომ მომავალშიაც ხელი არ შეგვეშალოსო.

ონი. ამ წინაზე ჩვენში ერთ ხულიგანს თოფი ესროლეს. ტყვია მიზანს ასცდა დ სრულიად პატიოსანი კაცი მოკლა. ახლა მას მოუწერია საიქიოდან ხულიგანისათვის: „შენს ალაგას მე არ მიმიღეს და გამოსწორი ნუ დააგვიანებო." ის კი ავვიანებს.

მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს.

ქუთაისის დეპოს მუშებს სწორეთ მამულიშვილური განწყობილება აქვთ ბესარიონ ქვანიასთან. კლასთა წინააღმდეგობა აქ ინდოურ-ქათამთა წინააღმდეგობით შეცვლილა. ბესარიონს ძლიერ უყვარს თურმე ქათმის ხორცი (ადვილი მოსანელებელია) და ის მუშა რაღა მუშაა, რომელიც ერთ მსუქან დედალს ვერ ზიდავს და არ მიართმევს? სამაგიეროთ ბესარიონი აიღებს და მეტ დროს უანგარიშებს. რაღა ეშმაკათ გინდა მაშინ ექსპლოატაციასთან ბრძოლა, კავშირი და სხვა ამისთანაები. ქუთაისში მოხერხებული ხალხია და ამჯობინებენ მუშათა ბედნიერებას ქათამინდოურები შესწირონ და არა ადამიანის მსხვერპლი.

—

ფოთი. მაშინ როდესაც სახ. დუმაში „უმუშევარია საკითხი" ირჩეოდა, ცნობილმა ჩიქოვანმა ვრცელი მოხსენება გაგზავნა სახელმ. დუმის დეპუტატის იაკობ ფანცხავას [1]) საჯელობაზე. მოხსენება ერთობ შინაარსიანია და შეიძლება „ადგილობრივმა სოციალისტებმა" ეს პროგრამაშიაც შეიტანონ. აზრი სულ მარტივია; თითქმის პირველ ყოფილი ადამიანიც კი შეითვისებს. მოაგროვებთ სოფლებში უსაქმოთ დარჩენილ ყმაწვილებს, ჩახვალთ ფოთში,[2]) დაეცემით იქ მომუშავე მუშებს, გარეკავთ დ იმათ ადგილს ჩაიგდებთ ხელში.

—

სად. სალოლლი. ჩვენ, სად. **სალოლლის** ნავთის სადგურის მუშებს ლამის ღმერთი გაგვიწყრა და გასული თავისუფლების დროს კინაღამ მოკლეს ჯაშუშობისათვის ჩვენი უფროსი გინცბერგი. რაღა გვეშველებოდა მაშინ. აი თუნდა ეს ამბავი გავსაჯოთ. ჩვენი დარგის მუშები კავშირის დაარსებას ვაპირობდით. ეს გაიგო გინცბერგმა. აფრინა წერილი როზენფელდთან, იმან კიდევ უფრო ზევით და სხვ. და სხვ. და სხვ. ეს იყო ქვევიდან ზევით. როგორც წესია, წამოვიდა ქაღალდი ზევიდან ქვევითაც. ქაღალდს მოჰყვა თვით როზენფელდი. სადგურებზე მუშები ატაცებით ეგებებოდენ. როზენფელდმა გამოიძია და ჩააქრო ყოველივე სურვილი პროფესიონალური კავშირისა.

[1]) პატივცემულ ჩიქოვანს ალბათ არ ბაუბია,, რომ პატივცემული იაკობ ფანცხავა ფოთში ბაშავდა და დეპუტატათ არ შესდგება.

[2]) ადესაშიაც სცადა თურმე ამგვარი ხერხი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა" და შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

იუდას გოდება.

—

ვაი ამ დღეს და ვაგლახმ მე!
იმედი ირ გამიზაჰთლდა,
გამიცივდა ქირნახული
დი სახელი გამიკარწყლდა.

—

გამომიჩდენ მეტოქენი
ჩემზე უფრო იუდები,
ღალატში და გაცემაში
უფრო ნაწრთობ-ნადუღები.

—

მე ღალატი მხოლოთ ერთი
გავბედე ჩემ სიცოცხლეში,
ისიც ვეღარ მოვინელე
წავიჭირე თოკი ყელში.

—

ახლანდელი იუდები
ათასობით ღალატობენ,
მაგრამ ჩემებრ არ ლაჩრობენ—
არა კიდეც ამაყობენ.

—

ვერცხლს იხვეჭენ, ოქროსაცა,
ძალა არის ხელთა მათთა...
„ცა ქუდათ არ მიაჩნიათ,
დედა მიწა ქალამნათა."

—

ან კი რა ჰქნან? სადღა არის
თოკი ან ხე აწ იმდენი,
რომ მათ თავი ჩამოიხჩონ,
შეიმოკლონ ცოდვის დღენი.

ლ.

შიშველი ბუხარი

გამხიარულდი ბუხარო
გულ ჩახვეული ნუ ხარო!

უკეთუ პატივცემულ მკითხველს საკუთარი თვალით არ უნახავს, მე არ შემიძლია დავუსურათო მას ისეთი უაზრო და გასაოცარი სანახაობა, როგორსაც წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „ტიტველი," ანუ „შიშველი ბუხარი." უცხოსა და მით უმეტეს გამოუცდელ მნახველს ის ძეგლს მოაგონებს; იმგვარ ძეგლს, რომელსაც „ერთგულნი ქვეშევრდომნი" ხშირათ უდგამენ ხოლმე „საყვარელ მეფეებს." როცა მათ გზის ამა თუ იმ მოსახვევში ეტლი გადაუბრუნდებათ ხოლო განგებითა ღვთისათა დ ხალხის სასიხარულოთ უვნებლათ გადარჩებიან ხოლმე. მაგრამ ფრიად და ფრიად შორს გამჭვრეტელი და გონება მახვილი ადამიანი „შიშველი ბუხრის" ნამდვილ დანიშნულებას ადვილათ გაიგებს და იტყვის: „ესე არს არარა სხვა, არამედ დიდებული ძეგლი რეაქციისა." ხოლო პატრონი ბუხრისა დასძენს: „ამინ!"

„ცოდვა გამხელილი სჯობიაო," იტყვიან და მეც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამბავი ესე, ჩემი მოგზაურობის ერთ მუხლს შეადგენს და თქვენ რომ გგონიათ არც თუ ისე ახალია. მაშ ნებას მაძლევთ დავიწყო.

I

27 იანვარს, ამოესვენა თუ არა დიდებული მნათობი ზეცისა, გამოვიტანე ჩემი სამგზავრო მუგუზალი, მარდათ გადავჯექი ზედ, ჯერ ტოროლასავით მაღლა-მაღლა წავედი და რაკი ავცდი თოვლიან მთათა მწვერვალებს, დავეშვი დასავლეთისაკენ, ჩვენი ქვეყნის ერთი კუნჭულის სანახავათ. (ასეთია ჩვენი ე. ი. ეშმაკების მოგზაურობა). სიმართლე სულს მირჩევნია. ამისათვის ვერ დავმალავ, რომ თუმცა გაგონილი მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი და არც მჯეროდა თუ ჩვენი საყვარელი მთავრობა თითონ მოგზაურობდა ამ კუთხეში მუგუზლებით.

შევარდენივით გადავეველე თოვლიან მთებს, ჩავუნავარდე მდინარის პირებს და დავეშვი ერთი ნაცნობი გორაკისაკენ. ბუნება მეცნო და თან მეუცხოვა. ნაცვლად ყვავილთა სიმყრალისა საამურ მჭვარტლის სურნელოვანებას მოეცო არემარე და ჩემს ხსოვნაში გაიღვიძა სვიმონ ქვარიანისა მიერ პოეტურათ აწერილმა „ოთახის ზილფოვანმა ფშვინვარებამ“ თუ „ზილფოვანმა ფშვიადმა“. (ᲙᲥᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ!..) უკვე საღამომ მოაწია.

გორაკის წვერზე ამაყათ იდგა წელამდე თეთრი, თან წვრილი და მაღალი, ტანის „**შიშველი ბუხარი**“. არც ერთი, მთიდან თუ ზღვის პირიდან დაძრული ნიავი მას გვერდს არ აუვლიდა, არც ერთი ზღვიდან გადმოცურებული ღრუბლის ნაკვეთი ისე არ გაივლიდა, რომ მისთვის სალამი არ მიეცა. თოვლიან მთის ზურგიდან გადმოსრიალებული სხივიც პირველათ მას მოხვდებოდა. „შიშველი ბუხარი“ კი ვერაფერს გრძნობდა! იდგა უძრავათ! გაშეშებული თვალებით გადაჰყურებდა ძირს, მდინარის პირად მეორე „შიშველ ბუხარს“. დაბლობში მდგომი „შიშველი ბუხარიც“, (თითქო შეთქმული არიანო), ამას მისჩერებოდა.

მზე სადღაც დასავლეთისკენ ზღვის ჯურღმულში ჩაეშვა და ცივმა ქარმა მაგძნობინა, რომ ღამის თავშესაფარი იყო საჭირო. მეტი გზა აღარ დამრჩა, ავდექი და ბუხრის ხარბათ გაღებულ გამჭვარტლულ პირში შევძვერი. ჩინებული ბინა გამოდგა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მარტოობა ძლიერ მიყვარს, მომწყინდა, ძლიერ მომწყინდა და კაეშანთა განსაქარვებლათ ნელ ხმაზე „ბოეე ᲪᲐᲠᲘᲐ ᲮᲠᲐᲜᲘ“ ჩავაღიღინე. უცებ გამჭვარტლული აგურის ქვეშიდან ორმა პაწაწინა თვალმა გამოანათა, გამოჩნდა თავი აცქვეტილი ყურებით და ისევ მიიმალა. მაგრამ პატარა ხანი გავიდა და ისევ გამოიხედა. დავრწმუნდი, რომ მახლობლათ ვიღაც ცხოვრობდა, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ჩემს მეზობელს ძლიერ ეშინოდა გარეთ გამოსვლა და ჩემი გაცნობა. მაშინ მიკვირდა ასეთი სიმხდალე, მარა შედეგ აზრი შევიცვალე, ვინაიდან იმ დროში თურმე საარაკო ნადირობა იყო გამართული ყოველგვარ სულიერ არსებაზე: განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, ნისკარტის სისწორისა, წყალ ჩლიქოვანებისა და სხ. მე შევსძახე მეზობელს ორიოდე სალამის სიტყვა და იმანაც არ დააყონა ჯერ სალამითვე პასუხი, ხოლო შემდეგ გამოსვლა და ხელის ჩამორთმევა. ის იყო ჩემი კარგი ნაცნობი პატარა თაგუნა, ფრიად პატიოსანი და გულწრფელი ცხოველი.

—უმადური გამყოფა ღმერთმა! მომაძახა მან გამოსვლისათანავე. შე კაი კაცო გეთქვა მე ვარო, რომ შიშით კინაღამ გული მიმელია. ვიფიქრე: ჰაი პოლიციაა, ჰაი ეგზეკუციაა, ან შეიძლება ბოქაული მოგვიხდა სტრაჟნიკებით, ან იქნება ინგუშებია მეთქი და გონს ვერ მოვსულიყავი.

—სრულებით არ ვიცოდი, დაია, თუ შენ აქ ცხოვრობდი, თორემ როგორ არ გაცნობებდი.

—ჰაი, ჰაი რომ აქ არ ვცხოვრობდი, ჩემო კეთილო, მაგრამ გაჭირვება სად არ შეგამწყვდევს კაცს... ის სიმღერა რომ გავიგონე მაშინ მაინც სულ მთლათ ამებნა დავთარი. ჩემ გულს გადაწყვეტილი ქონდა, რომ პოლიცია იქნებოდა. ცხონებული ჩემი ძმა ამობდა: ხემწიფემ ბინის ხელშეუხლებლობა გამოაცხადა, მარა გადაწყვიტა: ვიდრე ეს კანონი ძალაში შევა ჯერ ყველა ბინა უნდა დაიწვასო. მადლობა ღმერთს რომ შენ ხარ და არა პოლიცია... ღმერთო დიდებულო, რა დროს შეგვასწარი, რა დროს...

მე ძლიერ მეუცხოვა ჩემი დიასახლისის ასეთი ლაპარაკი, ვინაიდან ვიცოდი, რომ იმ ხანებში ამ კუთხის პოლიცია თითონ ეძებდა სოროს განსასვენებლათ. ესეც არ იყოს, გულში ლახვარივით მომხვდა, როცა პოლიციაზე და საზოგადოთ ჩვენს ძვირფას მთავრობაზე ცუდი კილოთი დაიწყეს ლაპარაკი. მიუხედავათ ამისა ჯერ დავამშვიდე ჩემი მოსაუბრე და შემდეგ გავუბვი საუბარი თანამედროვე ვითარებაზე.

—ეგრე გულნატკენათ რატომ ლაპარაკობ, დაია, პოლიციაზე? შეეკითხე მე და მყისვე ვიგრძენ: ნეტავ არ მეკითხა მექთი. საბრალო ქვრივს სახე დაემანჭა, ტუჩებმა ცმაცური დაუწყო, კუდმა ხვანცარიკი და უზომო აღელვება ვედარ დამალა.

—შენგან მიკვირს, ჩემო კარგო, ასეთი კითხვა და იმან ამაღელვა, მორცხვათ და ნაღვლიანი კილოთი მიპასუხა მაკრინემ (ასე ეძახოდენ ჩემ დიასახლისს). პოლიციაზე საზიზღარი ახლა ქვეყანაზე არაფერი აღარაა. კატა რა არის, კატაც კი შეგვაყვარა იმათმა მოქმედებამ. საწყალი ჩემი ძმის ობლები, აი, აქ მიყრია უპატრონოთ, ლამის შიშილით ამომწყდენ საცოდავები. კატა თუ მაძღარია მაშინ არაფერს გვერჩის და პოლიცია მაძღარი უარესს შვება. სარჩო-საბადებელი წაგვართვა, ერთი მარცვალი თხილი და ნიგოზი არსად გაუშვა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი იქნებოდა ბინაც რომ თავზე არ გადაეწვა. ლომელი ერთი გითხრა გენაცვალე, რომელი?!..

ჩემი მოსაუბრე შეჩერდა. მეც ფიქრმა წამიღო. პოლიცია და საზოგადოთ ჩვენი მთავრობა მარადის ეშმაკს ემსახურება, რისთვისაც ჩემი მხრით მუდამ მადლიერი და მოსეყვარულე ვიყავი მათი. მაგრამ ეხლა მაკრინეს საცოდაობამ სძლია ყველაფერს, გული ამიჩვილდა და ერთად ერთი ობოლი ცრემლი მომწყდა მარცხენა თვალიდან.

—რა დაემართა, ქალო, შენს ძმას? დაიჭირეს? შეეკითხე დაღონებულ დიასახლისს.

—როგორ, განა არ გაგიგია? დაიწვა, გენაცვალე, დაიწვა. სულიც დაგვეკარგა იმისი და ხორციც. გაზეთებშიაც იყო ჩაგდებული ჩვენი სახლის და ჩემი ძმის ამბავი. ახლა დამაწვა ამდენი ობოლი სარჩენათ და რა წყლში ჩავარდე აღარ ვიცი.

—ბინა თუ დაგიწვეს ობლები სადა გყვანან?

—აი აქვე აგურს ქვეშ, საწყლათ არიან მიყრილი.

სწორეთ ამ დროს ერთმა ბავშვმა საშინელი წივილი გაიბა. ჩვენ შევძვერით აგურს ქვეშ და ჩემს თვალს მართლა შესაბრალისი სურათი დაუდგა წინ. ისედაც ვიწრო ოთახის ერთ კუნჭულში, დამპალი შალის ნაგლეჯზე მიჭუჭკულიყვენ ოთხი პატარა, ძუძუ მწოვარა, ბავშვები, რასაკვირველია თაგვის ბავშვები. არც ერთს პერანგი არ ეცვა და გარედან შემოკრილი ცივი ქარი მწვავეთ კბენდა იმათ ნორჩ სხეულს. საცოდავები საწყლათ იგრიხებოდენ, თავს ფეხებში იყოფდენ და ძაფივით წვრილ კუდს უმიზნოთ აცანცალებდენ.

ჩემს მოსვლას მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ მათმა ნახვამ ჩემზე იმდენათ იმოქმედა, რომ ქველ-მოქმედების გრძნობაც ამითამაში

და შვიდ მარცვალ თხილს დაეპირდი ობლების მამიდას, რამაც ძლიერ გაახარა ეს უკანასკნელი. იმედი ძვირფასი საქონელია და გულში გამიელვა: „ნეტავი ერთი საათით **„ადგილობრივი სოციალისტი“** ვიყო, რომ ლაზათიანათ დავპირდე რაშე რამეებს მეთქი“, მაგრამ ეს აუსრულებელი ნატვრა იქნებოდა რასაკვირველია.

—ერთი მითხარი, დაია, ეს შიშველი ბუხარი რისთვის დაუდგამთ ამ გორაზე? შევეკითხე გამხიარულებულ მოსაუბრეს და კვლავ საგონებელში ჩავაგდე.

—დამკინი მგონია, ისე უცხოსავით მეკითხები! ყმაწვილო შიშველი იმიტომაა, რომ პოლიციამ გააშიშვლა. აქ უწინ სკოლა იყო და **კაცების შვილებს** აკითხებდენ. თაგვებზედაც აკითხებდენ: „ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობაო“ და „თაგვი მძინარე ლომს მიეპარა და გააღვიძაო“. ვინ იცის კიდევ რამდენს ლაპარაკობდენ ჩვენზე. კატა არ ყოფილა ამ ეზოში და ძაღლის არ გვეშინოდა.

—რისთვის დაგიწვეს, რას გერჩოდენ? შენ რა დაგიშავებია?

—ა კიდევ! რავა, იმათ კი არ უწვავენ ვისაც დაუშავებია: თითონ იგენი უწვავენ, ვინც დამნაშავეა. პოლიცია ხომ იცი ძალაზეა.

მე ცოტა არ იყოს მეწყინა ასეთი ძაგება მთავრობისა, მაგრამ მასპინძელს ხომ ვერ ვეჩხუბებოდი?!

(დასასრული იქნება)

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.



საშინელებაა... მიცვალებული მგონი ცოცხლდება.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

I

გაზეთ „მეხში,“ რომელიც გამოვა ხუთიოდ გაზეთის დახურვის შემდეგ, უეჭველათ დაიბეჭდება წერილი სოფ. ლიხოურიდან. (გურია). ამისა გამო საჯაროთ ვაცხადებ, რომ იმ წერილში აღნიშნული ამბები ჩემს შესახებ ან თვალთმაქცობაა იქნება ან გაუგებრობა და ან ფაქტების განზრახ დამახინჯება. ლიხოურში მართალია დგვინგრიეს მე და ბებურ ბებურიშვილს არაყის სახდელი ზაოდი, ისიც მართალია, რომ მე ამის შესახებ ტელეგრამა მივეცი ბებურს თფილისში, ისიც მართალია, რომ მე ეს ზარალი პოლიციას განეუცხადე და სოფელი ააწიოკეს, მაგრამ ნუ თუ ამაში მე, მე **დიდ** ესე თოიძეს, ბრალი მიმიძღვის? მას შემდეგ და თითქმის წინეთაც საზოგადოებაში მე, ასე ვთქვათ, ხულიგანის სახელი დამიკარდა და თავმოყვარეობა მაიძულებს გავაფრთხილო მკითხველი საზოგადოება, რომ ამ სახელს ტყვილათ მომაწერს მე ლიხოურელი კორესპონდენტი.

დიდი ესე თოიძე.

II

მოწყალეო ხელმწიფევ! ზემოხსენებულ კორესპონდენციაში ლიხოურიდან უეჭველია მეც მომიხსენებენ როგორც არა საიმედო პირს, მაგრამ იმედი მაქვს ჩემდამი რწმუნებული საზოგადოება არ გაიზიარებს ამ შეხედულებას. ცილს გვწამებენ, ვითომც მე და კიდევ რამოდენიმე პატივცემულნი პირნი იუდას ვბაძავდეთ მოქმედებასა და მიმართულებაში. ყველა ეს სიმართლესთან ისე შორსაა, როგორც აქედან ციმბირი. ნუ თუ მე ვარ მიზეზი რამდენიმე კაცის დაჭერისა და გადასახლებისა? ნუ თუ... ნუ თუ?

პატივისცემით მღვდ. **ნესტ. კონტრიძე** და დიაკონ. **კოს. კონტრიძე.**

ამბ. რედაქტორო! დარწმუნებული ვარ, ჩემზე მოწერილ ამბებშიაც ხშირათ იქნებოდა საყვედური და იმ მომავალ წერილშიაც, რა თქმა უნდა, არ დამზოგავენ. მაგრამ განა მიმიძღვის ამდენი დანაშაული? აი კითხვა რაშია!!!! ამბობენ ვითომც, როცა **დიდი** ესე თოიძისაგან ტელეგრამა მომივიდა, მაშინვე იმის რა ქვია.., კანცელარიაში მივირბინე და ვიჩივლე. Ахъ, какое подозрѣніе! მე იქ ხშირათ დავდიოდი, მაგრამ ისე.. თფილისიდან მართლა გაუგზავნეს თურმე გურიის რაზმის უფროსს საყვედურის დეპეშა ჩემი ზაოდის დანგრევის შესახებ, რამაც უფრო გაამწარა ოზურგეთის ადმინისტრაცია, მაგრამ ეს უეჭველია სული წმინდის ჩაგონებით მოხდა და მე რომ სული წმინდა არა ვარ, ამაში ბევრი დამერწმუნება. ეს არის და ეს!.. სხვაში მე სულ ტყვილათ მახვევენ. ვინც გადაასახლეს ჩვენი საზოგადოებიდან, ყველანი დაამტკიცებენ ჩემს...

ᲑᲔᲑᲣᲠ ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რომ ასეთი წერილების ბეჭდვა ხშირათ არ მოგვიხდეს, საჯაროთ ვაცხადებთ: ამ შინაარსის წერილებს რედაქცია სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ვერ დაბეჭდავს. ეს პირველათ და უკანასკნელათ დავუთმეთ პატივცემულ პირების თხოვნას და საშვალება მივეცით თავის გამართლებისა. სხვებთან კი მეტი „სტროგობა“ გვექნება. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ლეხოური არც ისე ჩამორჩენილი სოფელია როგორც ამას ამბობენ ხალხში. აი თუნდა ავიღოთ მთავრობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ოზურგეთის ადმინისტრაცია ეა ვლენს თუ არა გულში რამეს მთდა მიმართ, ლეხოურელებს უკვე ასრულებული აქვთ. ასი თუმანი რომ მოსთხოვონ, ორასს აძლევენ, სამი ცხენი რომ შეაწერონ ოთხს მიუყვანენ და სხვ. ერთობ კარგი სოფელია.

რედ.

გამომცემელი **თინა ბაქრაძე.**

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲚ ᲓᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲒ. **„ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“** მადათოვის კუჭეული, სახლი მუზრანსკის, № 1.